ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 1426268001**

თარიღი:**25/09/2026**

Youth Climate Action Fund (YCAF) პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივების დაფინანსების კონკურსის დებულებისა და თანდართული ფორმების დამტკიცების, კონკურსის გამოცხადებისა და სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, Rockefeller Philanthropy Advisors (RPA)-სა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს შორის Youth Climate Action Fund (YCAF) პროგრამის ფარგლებში 2026 წლის სექტემბერს გაფორმებული საგრანტო შეთანხმების, YCAF Program Charter-ისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“ ფარგლებში ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივების მხარდაჭერის მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს::

ა) ქვეპროგრამის „ახალგაზრდული ცენტრი“ ღონისძიების „ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივები (Youth Climate Action Fund / YCAF)“ ფარგლებში კონკურსის ჩატარების პირობების შესახებ დებულება (დანართი №1|);

ბ) ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივის დაფინანსების განაცხადის ფორმა (დანართი №2);

გ) დასაშვებობის შემოწმებისა და შეფასების ფორმები (დანართი №3);

დ) მიზნობრივი დაფინანსების ხელშეკრულებაში აუცილებლად გასათვალისწინებელი ძირითადი დებულებები (დანართი №4);

ე) პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმა (დანართი №5);

ვ) საკონკურსო კომისიის წევრის მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტისა და კონფიდენციალურობის დეკლარაცია (დანართი №6).

2. გამოცხადდეს Youth Climate Action Fund (YCAF) პროგრამის

ფარგლებში ახალგაზრდული კლიმატური ინიციატივების დაფინანსების კონკურსი 2026 წლის 25 სექტემბერს.

3. განაცხადების მიღება დაიწყოს 2026 წლის 25 სექტემბერს 09:00 საათზე და დასრულდეს 2026 წლის 6 ნოემბერს 18:00 საათზე. განაცხადი და ამ დებულებით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტები წარდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით, ამ ბრძანების დანართი №1-ით განსაზღვრული წესით, კონკურსის საჯარო განცხადებაში მითითებულ, პროგრამისთვის სპეციალურად განსაზღვრულ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: ycaf@batumi.ge. განაცხადი წარდგენილად ჩაითვლება აღნიშნულ ელექტრონულ ფოსტაზე, მისი მიღების თარიღისა და დროის მიხედვით.

4. კონკურსის შესახებ საჯარო განცხადება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე და სოციალურ მედიაში. განცხადება მომზადდეს დანართი №1-ის მოთხოვნების შესაბამისად და შეიცავდეს კონკურსის მიზანს, პრიორიტეტებს, დაფინანსების ფონდს, პროექტის დაფინანსების მინიმალურ და მაქსიმალურ ოდენობას, დასაშვებობის პირობებს, წარსადგენ დოკუმენტებს, შეფასების კრიტერიუმებს, ვადებს, განაცხადის წარდგენის არხსა და წესს და საკონტაქტო ინფორმაციას.

5. შეიქმნას კონკურსის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც დანართი №1-ის მიზნებისთვის წარმოადგენს პროგრამის ადმინისტრატორს, შემდეგი შემადგენლობით:

ა) რუსუდან ჟოჟაძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახურის უფროსი (სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე და YCAF-ის პროგრამის ქალაქის საკოორდინაციო პირი (City Lead));

ბ) ნინო ბეჟანიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახურის ეკონომიკური განვითარების განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

გ) ია შალამბერიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლებისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი (სამუშაო ჯგუფის წევრი);

დ) ნატო ნაკაშიძე - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის განათლებისა და ახალგაზრდობის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სამუშაო ჯგუფის წევრი).

6. სამუშაო ჯგუფმა განახორციელოს დანართი №1-ით პროგრამის ადმინისტრატორისთვის განსაზღვრული უფლებამოსილებები, მათ შორის:

ა) უზრუნველყოს კონკურსის ადმინისტრირება, საჯარო ინფორმირება და სულ მცირე ერთი საინფორმაციო-საორიენტაციო სესიის ჩატარება;

ბ) უზრუნველყოს მიღებული განაცხადების აღრიცხვა, ფორმალური შესაბამისობისა და დასაშვებობის შემოწმება, ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

გ) არაარსებითი ტექნიკური ხარვეზის, გაურკვეველი ან ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციის არსებობისას იმოქმედოს დანართი №1-ის მე-14 მუხლით განსაზღვრული დაზუსტების წესის შესაბამისად;

დ) YCAF-ის პროგრამის ქალაქის საკოორდინაციო პირთან (City Lead) ერთად უზრუნველყოს YCAF-ის პროგრამის გუნდთან და პროგრამის ქოუჩთან შესაბამისი კომუნიკაცია და წინასწარი პროგრამული კოორდინაცია;

ე) საკონკურსო კომისიას გადასცეს მხოლოდ ის განაცხადები, რომლებიც აკმაყოფილებს დანართი №1-ით განსაზღვრულ ფორმალურ და პროგრამულ მოთხოვნებს და YCAF-ის ყველა სავალდებულო შესაბამისობის კრიტერიუმს;

ვ) YCAF-ის შემდგომი ანგარიშგების მიზნებისთვის აღრიცხოს მიღებული განაცხადების საერთო რაოდენობა და შესაბამისობის კრიტერიუმების დამაკმაყოფილებელი განაცხადების რაოდენობა;

ზ) დაფინანსებული პროექტების შერჩევის შემდეგ უზრუნველყოს მათი მონიტორინგის, მიმდინარე კომუნიკაციისა და ანგარიშგების პროცესის ორგანიზება დანართი №1-ის შესაბამისად.

7. სამუშაო ჯგუფი შეიკრიბოს საჭიროებისამებრ. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე უზრუნველყოფს ჯგუფის მუშაობის კოორდინაციას, ფუნქციების განაწილებას და დებულებით განსაზღვრული პროცესების დროულად განხორციელებას.

8. საკონკურსო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის ცალკე ბრძანებით, დანართი №1-ის მე-15 მუხლის მოთხოვნების დაცვით. YCAF-ის პროგრამის ქალაქის საკოორდინაციო პირი (City Lead) არ მონაწილეობს პროექტებისთვის ქულების მინიჭებაში. საკონკურსო კომისიის წევრებმა შეფასების დაწყებამდე შეავსონ ამ ბრძანების დანართი №6-ით დამტკიცებული მიუკერძოებლობის, ინტერესთა კონფლიქტისა და კონფიდენციალურობის დეკლარაცია.

9. ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ორგანიზაციების მართვის სამსახურმა და განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ სამუშაო ჯგუფის საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციისა და ორგანიზაციული მხარდაჭერის მიწოდება.

10. წინამდებარე ბრძანება და ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დოკუმენტები გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე კონკურსის საჯარო განცხადებასთან ერთად.

11. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო

სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი ცინცაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი